

მცენარეული საფარი

სამცხე-ჯავახეთის ფლორის განვითარების თავისებურებები

სამცხე-ჯავახეთის მცენარეული საფარის მრავალფეროვნებასა და სივრცობრივ განაწილებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფაქტორთა მთელი კომპლექსი და აგრეთვე ტერიტორიის პალეოგეოგრაფიული განვითარების ისტორია. სწორედ გასული გეოლოგიური ეპოქების კლიმატის პერიოდულმა ცვლილებებმა განაპირობეს ამ რეგიონის ბიოლოგიური რესურსების მრავალფეროვნება და რიგი თავისებურებანი.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი განცალკევებული გეომორფოლოგიური წარმო-ნაქმნია. მისი მცენარეულობა თავისებურია და გარკვეული ხარისხით კონტრასტული [Сочновский, 1933]. ის წარმოადგენს ხმელთაშუაზღვიურ, ირან-თურქეთისა და ჩრდილოეთ ნახევარსფეროს უძველესი ფლორებისათვის დამახასიათებელ გეოგრაფიულ-გენეტიკური ელემენტების გზაჯვარედინს. ეს ლანდშაფტურ-გეობოტანიკური სარტყელი მოიცავს, უნიკალურ ტიპებსა და ჭაობებს, მთის სტეპების მთავარ მოდიფიკაციებს, მთის ქსეროფიტულ ბუჩქნარებს, მშრალ და მეზოფილურ მდელოებს და ტყის რელიქტურ ნაშთებს, რომლებიც ერთ დროს ჩვეულებრივად არსებობდა ჯავახეთის ზეგანზე [Сочновский, 1933; კეცხოველი 1959].

სამხრეთ მთიანეთის რეგიონის ზეგანზე (პლატოზე) წარმოდგენილია ორი რელიეფური ფორმა წარმოდგენილი ლავური ნაკადებისა და ვულკანური კონუსები-საგან (პიკები). ვულკანოგენური და ოროგენული პროცესები ემთხვეოდა გლაცია-ლურს (პლიოცენ-პლეისტოცენი), რის შედეგადაც მოხდა მესამეული ფლორის დესტრუქცია [Сочновский, 1933].

თანამედროვე ფლორა განვითარდა, აგრეთვე, კომპლექსური პროცესების შედეგად. გამყინვარებას მოსდევდა ქსეროთერმული პროცესები, რომელთაც განაპირობებს მეზოფილური, ქსერომეზოფილური და ქსეროფიტული მდელოების წარმოქმნა. პარალელურად ვითარდებოდა ჭარბტენიანი მცენარეულობა. ისტორიული წყაროების თანახმად ჯავახეთში ტყეს ეკავა დიდი ტერიტორია [Троицкий, 1927]. ეს ტყეები თითქმის მთლიანად განადგურდა ადამიანის მიერ; ამჟამად შემორჩენილია მცირე ფრაგმენტებად.

ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მცენარეული საფარის სივრცობრივ განაწილებაზე, ზედაპირის აბსოლუტური სიმაღლეა. სიმაღლის ზრდის შესაბამისად მკვეთრად იცვლება მცენარეული საფარის ხასიათი და მათი ფლორისტული შედგენილობა. სამცხე-ჯავახეთის მცენარეული საფარის თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ შედარებით მცირე ტერიტორიებზე გვხვდება მცენარეულობის სხვადასხვა ტიპი, დაწყებული ჭაობის ან სტეპის, ფრიგანისა და შიბლიაკის და დამთავრებული მაღალი მთის ალპური მდელოებითა და სუბნივალურით.

მცენარეულის საფარის ტერიტორიულ განაწილებაზე გადამწყვეტ როლს თამაშობს სითბოსა და ტენის რაოდენობის შეთანაწყობა, რაც თავის მხრივ, განპირობებულია ოროგრაფიული ბარიერების არსებობა/არარსებობით. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

გადამწყვეტ როლს ასრულებს ბარიერული ქედებისა (არსიანის, აჭარა-იმერეთის, ჯავახეთის) და ზეგნების არსებობა.

დასახელებული ქედების ორიენტაციის გამო, ისინი აკავებენ დასავლეთიდან მომავალ ნოტიო ჰაერის მასებს (ჯავახეთის ქედი კი აკავებს აღმოსავლეთის ჰაერის მასებს, რომელშიც აქ აღმავალია). შესაბამისად წარმოიქმნება ფრიად განს-ხვავებული დატენაინების ტერიტორიები. გვხვდება როგორც ტენის მოყვარული კოლხური ტყეები მარადმწვანე ბუჩქნარებით, ლიანებითა და გვიმრებით, ისე სიმ-შრალის ამტანი სტელი, ფრიგანისა და ბახევრად უდაბნოს ელემენტები.

აბსოლუტური სიმაღლის ზრდის შესაბამისად ხდება ჰარის ტემპერატურის თანდათანობითი დაცემა, შესაბამისად ტყის ფორმაციების შეცვლა ჯერ სუბალპური და ალპური მდელოებით და ბოლოს, სუბნივალურით. ჯავახეთის ზეგანზე კი, განსხვავებული სიმაღლითი სარტყლობაა, სადაც უმთავრესად წარმოდგენილია ნახევრად უდაბნოს, სტეპისა და ალპური მდელო-სტეპის მცენარეულობა.

ნ. კეცხოველის აღდგენილი მცენარეული საფარის რუკის [კეცხოველი, 1959], წარსულში - იმ პერიოდამდე, სანამ ადამიანი მნიშვნელოვნად არ შეცვლიდა გარემოს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში წარმოდგენილი იყო მცენარეული ფორმა-ციების სხვადასხვა ტიპი: მუხნარები და რცხილნარები, წიფლნარები, ნაძვნარ-სოჭნარები, მთის ფიჭვნარები, სუბალპური ტყეები, სუბალპური მდელოს ველის ელემენტები, ალპური მდელოები, ჯაგეკლიანი ველები ტყის ელემენტებით, კლდეთა ქსეროფიტები, მაღალი მთის ველები, ისლიანი და მარცვლოვანი ჭაობები (ნახ. 2.49).

მცენარეულობის ვერტიკალური ზონალობა და ფლორისტული ოლქები

სამცხე-ჯავახეთში წარმოდგენილია [Долуханов, 1989; Хинтибидзе, 1990] მცენარეული საფარის შემდეგი სარტყლები (ნახ. 2.50):

1. მთის შუა სარტყელი (800-1,500 მ) _ უმეტესად გამოყენებულია სახნავ მიწე-ბად. ბუნებრივი მცენარეულობა შემორჩენილია ჭალის ტყეების, მუხნარ-რცხილნარების, მთის ქსეროფიტული ბუჩქნარების და მთის სტეპების სახით.
2. მთის ზედა სარტყელი (1,200-2,050 მ) _ მოიცავს წიფლნარ-წიწვოვან შერეულ ტყეებს.
3. სუბალპური სარტყელი (1,900-2,500 მ) _ ტყის ზედა საზღვრის მაღალბალახე-ული მცენარეულობით, ბუჩქნარებით და სუბალპური პოლიდომინანტური მარცვლოვან-ნაირბალახოვანი მდელოებით. ეს ზონა ტიპოლოგიურად მრავალფეროვანია.
4. ალპური სარტყელი (2,500-2,900 მ) – ალპური მდელოები ძირითადად სამოვრებადაა გამოყენებული. მცენარეულობა აქ სუბალპურთან შედარებით, როგორც ბიომასის, ისე ტიპოლოგიური მრავალფეროვნებით ღარიბია.
5. სუბნივალური სარტყელი (2,900-3,300 მ) _ წარმოდგენილია მხოლოდ აბულ სამსრის ქედზე.
6. აზონალური მცენარეულობა _ წარმოდგენილია, მხოლოდ ბორეალური სახეობებით მდიდარი ვეტლენდების, უდაბნოს პალოფილური და კლდოვანი

თანასაზოგადოების ფრაგმენტებით. კლდოვანი ადგილების ქსეროფიტები შეიცავენ მრავალ ენდემურ სახეობას.

რეგიონი განეკუთვნება 3 ფლორისტულ ოლქს: ევქსინურს, არმენო-ირანულს და კავკასიურს [Гроссгейм, Сочневский 1928; თაკვაჯიანი, 1986]. ევქსინური აღწევს არ-სიანის ქედამდე, რომელიც რეგიონის უკიდურეს დასავლეთ ნაწილს წარმოადგენს და ნაწილობრივ ვრცელდება აჭარა იმერეთის ქედზე. არმენო-ირანული ოლქი ვრცელდება მესხეთის სამხრეთ ნაწილსა და ჯავახეთის პლატოზე, წარმოდგენილია მთის სტეპებით. კავკასიის ოლქი მოიცავს თითქმის ყველა დანარჩენ მთათა სისტემას.

სამცხე-ჯავახეთში ა. დოლუხანოვი [Долуханов, 1989] განასხვავებს 2 რეგიონს – ადიგენ-ბორჯომის რეგიონსა და ჯავახეთის ზეგანს. პირველი მოიცავს თრია-ლეთის ქედის ჩრდილო დასავლეთ კალთებს, მესხეთის ქედის სამხრეთ კალთებს, ახალციხის დეპრესიას და მდ. ქვაბლიანის ხეობას. ხაშურის ზემოთ, მდ. მტკვარი აჭარა-თრიალეთის მთათა სისტემას ყოფს თრიალეთისა და მესხეთის ქედებად. ამ ნაწილში სიმაღლე მერყეობს 750-800 მ-დან 2,700-2,900 მ-მდე, ახალციხის დეპრესიის სიმაღლე ზღვის დონიდან ყველაზე დაბალია ახალციხის მახლობლად 950-1,000 მ-ია. სიმაღლე მნიშვნელოვნად მატულობს თურქეთის საზღვრისაკენ, სამხრეთის მიმართულებით.

ტყის საფარი

ტყეები მეტად არათანაბრადაა განაწილებული სამცხე-ჯავახეთის ტერიტო-რიაზე (ნახ. 2.52). ტყით დაფარული ტერიტორიის საერთო ფართობი, ტყეთ-მოწყობის მასალების მიხედვით, რომელიც ბოლოს 1997-1998 წლებში ჩატარდა შეადგენს 12,881 ჰა-ს (ცხრ. 2..54). აქედან ყველაზე მეტი ტყიანობით გამოირჩევა ბაკურიანის სატყეო უბანი, რომლის ტერიტორიის 28,896 ჰა ტყითაა დაფარული. ტყიანობით მეორე ადგილზეა ადიგენის სატყეო უბანი, რომლის ტერიტორიის 27,909 ჰა ტყეა. ტყიანობით გამოირჩევა ახალციხის სატყეო უბანი 27 048 ჰა. თუმცა ახალციხის სატყეო უბნის სახელმწიფო ტყის ფონდის საერთო ფართობი შედარებით მეტია ვიდრე ადიგენის სატყეო უბნის. შესაბამისად, ახალციხის სატყეო უბნის სახელმწიფო ტყის ფონდის საერთო ფართობი შეადგენს 32,168 ჰა-ს, ადიგენის კი 31,156 ჰაა. ტყიანობით გამოირჩევა ბორჯომის სატყეო უბანიც 21,875 ჰა. ყველაზე ნაკლებდაა ტყით დაფარული ნინოწმინდის სატყეო უბანი 2,209 ჰა. ტყით დაფარული ფართობით საშუალოდ ადგილი უჭირავს ასპინძის 12,197 ჰა და ახალქალაქის 4,747 ჰა სატყეო უბნებს.

სამცხე-ჯავახეთის ტყით დაფარული ტერიტორიის ფართობიდან 83,473 ჰა წიწვიანებს უჭირავს. წიწვოვნები სოჭით, ნაძვით და ფიჭვით არის წარმოდგენილი. ყველაზე დიდი ფართობები რეგიონში 38,019 ჰა ფიჭვით არის დაკავებული, აქედან 35,056 ჰა ნაძვია, 10,398 ჰა სოჭის ტყითაა დაფარული.

ფიჭვის ყველაზე დიდი ფართობით ახალციხის სატყეო გამოირჩევა 9,842 ჰა, შემდეგ მოდის ადიგენის სატყეო 8,374 ჰა, ყველაზე მცირე ფართობზე ფიჭვი წარმოდგენილია ნინოწმინდის სატყეოში 2 209 ჰა.

ნამდვის ფართობებით 9,429 ჰა და 8,806 ჰა გამოირჩევა ადიგენის და ბორჯომის სატყეოები. ყველაზე მცირე ფართობზე 1 ჰა ნამდვი წარმოდგენილია ახალქალაქის ტერიტორიაზე. ახალქალაქის ტერიტორიაზე სოჭის ფართობიც ყველაზე მცირეა, აქაც სოჭი 1 ჰა-ზეა წარმოდგენილი. სოჭის ფართობით პირველ ადგილზეა ადიგენი 6,199 ჰა. შემდეგ მოდის ბორჯომის სატყეო 3,090 ჰა.

საერთოდ, წიწვიანების ფართობი ყველაზე მეტია 23,991 ჰა ადიგენის სატყეო-ში, შემდეგ მოდის ახალციხის 17,273 ჰა და ბორჯომ-ბაკურიანის სატყეოები. შესაბამისად აქ წიწვიანების ფართობები შეადგენს 14,925 ჰა და 13,888 ჰა-ს. ყველაზე ნაკლები ფართობი წიწვოვნების 2,209 ჰა ნინოწმინდის რაიონშია. ნინოწმინდის რაიონში სოჭისა და ნამდვის ფართობები საერთოდ არ გვაქვს წარმოდგენილი.

სამცხე-ჯავახეთის ტყით დაფარული ტერიტორიის ფართობიდან ფოთლოვანებს 40,968 ჰა უჭირავს. ფოთლოვანებიდან ტყის შემქმნელი ძირითადი ჯიშებია წიფელი 17,756 ჰა და მუხა 12,153 ჰა. რცხილის ფართობები მხოლოდ 790 ჰას შეადგენს. საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი არყის 5,971 ჰა ვერხვის 1,750 ჰა და ნეკერჩხლის 1,050 ჰა ფართობები. მცირე ფართობებითაა წარმოდგენილი ისეთი სახეობები, როგორცაა უხრავე 603 ჰა, პანტა 201 ჰა, იფანი 147 ჰა, ალვის ხე 72 ჰა, ჭნავი 43 ჰა, მაჟალო 37 ჰა, რამდენიმე ჰექტარი უჭირავს ფოთლოვნებს კაკალს 5, ტყემალს 4, ჭერამს 5, ძლიერ თაფლოვანი მცენარის აკაციის ფართობი 50 ჰა-ს შეადგენს. დასანანია, რომ ასევე ძლიერი თაფლოვანის წაბლის ფართობი რეგიონ

ში მხოლოდ 4 ჰა-ა.წიფლის ყველაზე დიდი ფართობით 11,924 ჰა ბაკურიანის სატყეო გამოირჩევა, შემდეგ მოდის 4,895 ჰა ბორჯომის სატყეო, ყველაზე მცირე ფართობზე 16 ჰა წიფელი წარმოდგენილია ახალციხის სატყეოში. ახალქალაქსა და ნინოწმინდაში წიფელი საერთოდ არ გვხვდება.

მუხის ფართობებით 5,385 ჰა და 3,086 ჰა გამოირჩევა ახალციხის და ადიგენის სატყეოები. შედარებით მცირე ფართობებზე 1,109 და 1,005 ჰა მუხა წარმოდგენილია ბორჯომისა და ბაკურიანის ტერიტორიაზე. ახალქალაქის და ნინოწმინდის ტერიტორიაზე სიმაღლითი ზონალობის გამო მუხით დაკავებული ფართობი არ გვაქვს.

რცხილის ფართობით პირველ ადგილზეა ახალციხე 337 ჰა. შემდეგ მოდის ბორჯომის სატყეო 306 ჰა.

საერთოდ, ფოთლოვნების ფართობი ყველაზე მეტია ბაკურიანის რაიონში 14 796 ჰა, შემდეგ მოდის ახალციხის 9,578 ჰა და ასპინძის 5,155 ჰა სატყეოები. ყველა-ზე მცირე ფართობი ფოთლოვნების ახალქალაქის რაიონშია 602 ჰა. ნინოწმინდის რაიონში ფოთლოვნების ფართობები საერთოდ არ გვაქვს წარმოდგენილი.

სამცხე-ჯავახეთის ტყით დაფარული ტერიტორიის ფართობიდან ისეთ სახე-ობებს როგორცაა თხილი, ფშატი, კუნელი დეკა, 222, 5, 18, 195 ჰა უჭირავს შესა-ბამისად. მთლიანობაში ამ მცენარეულობის ფართობი 440 ჰა-ს უდრის.

თხილის ყველაზე დიდი ფართობით 194 ჰა ახალციხის სატყეო გამოირჩევა, შემდეგ მოდის გაცილებით მცირე ფართობებით 17 ჰა ბაკურიანის სატყეო, ყველაზე მცირე ფართობზე 7 და 4 ჰა თხილი წარმოდგენილია ადიგენის და ბორჯომის სატყეოებში. ასპინძა, ახალქალაქსა და ნინოწმინდაში თხილი საერთოდ არ გვხვდება.

ფშატის ფართობები მცირე ტერიტორიებზე 2 ჰა და 3 ჰა გვხვდება ადიგენის და ახალციხის სატყეოებში. სხვა სატყეოებში ფშატი დაკავებული ფართობი არ გვაქვს.

კუნელის ფართობი 18 ჰა წარმოდგენილია ბორჯომის სატყეოში. დეკა მხოლოდ ბაკურიანის სატყეოშია 195 ჰა სუბალპურ და ალპურ სარტყელში.

საერთოდ, აღნიშნულ მცენარეთა ფართობი ყველაზე მეტია ბაკურიანის რაიონში 212 ჰა, შემდეგ მოდის ახალციხის სატყეო 197 ჰა. ყველაზე მცირე ფართობი ამ ფოთლოვნების 22 და 9 ჰა ბორჯომის და ადიგენის რაიონშია. ნინოწმინდის, ასპინძის და ახალქალაქის რაიონში მათი ფართობები საერთოდ არ გვაქვს წარმოდგენილი.

ცნობილია აღმოსავლური ნაძვის კორომების ქერქიჭამიათი დაზიანება ბორჯომის ტყეებში. ძირითადი გამანადგურებელია სპს სეხდენტატუს და ნაძვის დიდი ლაფანიჭამია (Dენდროცტონუს მიცანს), აგრეთვე, ჩრყპპალუს აბიეტის, Pიტყოკტინის სპინიდენს, Pიტყოპპერის პიტყოგრაპპუს, Pიტყოგენუს ბიდენტატუს. სოჭნარებში გავრცელებული მერქანჭამი-ები (ჩრყპპალუს აბიეტის, ჩრ. ორიენტალის, Pიტყუცტენის ცურვიდენს) და სოჭის კიბოს გამომწვევი სოკოები (Mელამპსორელლა ცერასტი), პარაზიტული სოკოები (შტელლარია ჰოლოსტეა).

დადგენილია, რომ ქსილოფაგების ფართო გავრცელება მუქწიწვიანებში უპირველესად დაკავშირებულია ადამიანის საქმიანობასთან და მათ მიერ ხეთა დაზიანებასთან. მერქანჭამიების თავდაპირველი კერები ჩნდება სწორედ დაზიანებულ მერქანზე, განსაკუთრებით კი ფესვებზე. ამიტომ მუქწიწვიანების ბუნებრივი ეკოლოგიური ვითარების შენარჩუნება უპირველესად მის დაცვას გულისხმობს [Долуханов, 1989].

სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე სამცხე ყველაზე ტყიანი რეგიონია. თუმცა ტყეები არც აქ ქმნის ერთიან დიდ სარტყელს. ერუშეთის მაღლობსა და ფერ-სათის მაღლობზე ტყის მასივებს ხშირად ენაცვლება მდელო-სტეპები.

სამცხის ტყეების უდიდესი ნაწილი (95 %-ზე მეტი) მოდის მთის ფერდობებზე. ამიტომ მათ მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი (წყალმარეგულირებელი, ნიადაგდაცვითი, ქარსაცავი) და ტურისტულ-რეკრეაციული ღირებულება აქვთ. განსაკუთრებით საშიშროებას ქმნის ის გარემოება, რომ ტყეების უდიდესი ნაწილი ძლიერ დანაწევრებული რელიეფის პირობებშია, რაც გეოდინამიკური პროცესების განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელ გარემოს ქმნის.

წიწვიანი ჯიშებიდან უმთავრესად გავრცელებულია ფიჭვი და ნაძვი, იშვიათად ასოჭი. ფიჭვნარებით განსაკუთრებით გამორჩეულია ადიგენის რაიონი, კერძოდ, აბათუმნის მიდამოები.

ფართოფოთლოვანებიდან ფართოდაა გავრცელებული რცხილა, მუხა, წიფე-ლი, არყის ხე, აგრეთვე ვერხვი, თელა, იფანი და სხვ.

სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობებზე გაბატონებული მერქნიანი სახეობების მერქნის საერთო მარაგი შეადგენს 29,918 ათ. მ3. აქედან წიწვოვანი კორომების მერქნის საერთო მარაგი 24,239 ათ. მ3-ია, საერთო მარაგის 81 %. ფოთლოვანი კორომების საერთო მარაგი კი 5,679 ათ. მ3ი, სართო მარაგის 19 %-ი.

მერქნის საერთო მარაგის დიდი ოდენობით გამოირჩევა წიწვიანი კორომები. ნაძვის მერქნის საერთო მარაგი რეგიონში 12,213 ათ. მ3, 41%-ია, ფიჭვის 6,980 ათ. მ3, 23 %-ი, ხოლო სოჭის კორომების მერქნის საერთო მარაგია 5,042 ათ.კ.ბ-ი, 17 %.

მერქნის საერთო მარაგის გაცილებით მცირე ოდენობა აქვს ფოთლოვან კორომებს. წიფლის მერქნის საერთო მარაგი რეგიონში 3,760 ათ.კ.ბ-ი, 13 %-ია, მუხის 1,080 ათ. მ3, 3%-ი, ხოლო არყის კორომების მერქნის საერთო მარაგია 375 ათ.კ.ბ-ი, 1%-ი. დანარჩენი ფოთლოვანების მერქნის საერთო მარაგი მხოლოდ 195 ათ.კ.ბ-ია და 1%-საც არ შეადგენს. სატყეო უბნების მიხედვით მერქნის საერთო მარაგით პირველ ადგილზეა ადიგენის სატყეო უბანი 9,272 ათ.კ.ბ-ი, მეორე ადგილზეა ბაკურიანის სატყეო 7129 ათ.კ.ბ-ი, ბორჯომის სატყეოს მერქნის საერთო მარაგი 6,714 ათ. მ3-ს უდრის, ახალციხის 4,408 ათ. მ3-ს, ასპინძის 1908 ათ. მ3-ს, ახალქალაქის კი 433 ათ.კ.ბ-ს, რაც შეეხება ნინოწმინდის სატყეო უბანს აქ ყველაზე ნაკლები მერქნის საერთო მარაგია 54 ათ. მ3. რაც შეეხება წიწვიანი კორომების მერქნის საერთო მარაგს, სატყეო უბნების და სახეობების მიხედვით წიწვიანი კორომების მერქნის საერთო მარაგით ლიდერობს ადიგენის სატყეო უბანი. ნაძვი აქ 3,696 ათ.კ.ბ-ია, სოჭი 2,912 ათ. მ3, ფიჭვი 2348 ათ. მ3. ფოთლოვანი ჯიშების კორომების მერქნის საერთო მარაგითაც პირველ ადგილზეა ადიგენის სატყეო უბანი, თუ არ ჩავთვლით წიფელს, რომლის მერქნის მარაგით ლიდერობს ბაკურიანის სატყეო 2381 ათ. მ3, ბორჯომის სატყეოში წიფლის მერქნის რაოდენობაა 1303 ათ. მ3, ადიგენის რაიონში წიფლის მერქნის მარაგი მხოლოდ 43 ათ.კ.ბ-ია. მუხის მერქნის მარაგი რაიონის სატყეო უბნების მიხედვით შედარებით თანაბრადაა განაწილებული და მერყეობს 452-102 ათ. მ3-ს შორის. ახალციხის სატყეოში მუხის მერქნის მარაგი 452 ათ.კ.ბ-ია, ბორჯომის სატყეოში 102 ათ. მ3. მხოლოდ არყის მერქნის მარაგი ბორჯომის სატყეოში სცილდება ორ ასეულს და შეადგენს 212 ათ. მ3-ს. დანარჩენ სატყეო უბნებში არყის, რცხილის და სხვა დანარჩენი ფოთლოვანი კორომების მერქნის საერთო მარაგი შედარებით უმნიშვნელოა და მერყეობს 1 დან 63 ათ. მ3-ს შორის. რაც შეეხება წიწვიანი კორომების მერქნის საერთო მარაგს სხვადასხვა სატყეო უბნებში, იგი ადიგენის სატყეო უბნის შემდეგ ყველაზე დიდი რაოდენობით ბორჯომის სატყეო უბანშია, აქ ნაძვის მერქნის საერთო მარაგი 3,078 ათ. მ3, სოჭის 1,144 ათ. მ3, ფიჭვის 218 ათ. მ3. ასევე დიდი რაოდენობითაა წიწვიანი კორომების მერქნის საერთო მარაგი ბორჯომის სატყეოში. ნაძვის მერქნის საერთო მარაგი აქ შეადგენს 2,999 ათ. მ3-ს, სოჭის 1618 ათ. მ3-ს, ფიჭვის 582 ათ. მ3-ს. შედარებით ნაკლები რაოდენობითაა წიწვიანი კორომების მერქნის საერთო მარაგი ახალციხისა და ასპინძის სატყეოებში. ნაძვის მერქნის საერთო მარაგი ახალციხის სატყეო უბანში შეადგენს 1,831 ათ. მ3-ს, ფიჭვის 1,664 ათ.კ.ბ-ს, სოჭის 182 ათ. მ3-ს. ასპინძის სატყეო უბანში კი ნაძვის მერქნის საერთო მარაგი შეადგენს 609 ათ.კ.ბ-ს, ფიჭვის 788 ათ. მ3-ს, სოჭის 112 ათ. მ3-ს. ყველაზე ნაკლები რაოდენობით წიწვიანი კორომების მერქნის საერთო მარაგი ახალქალაქის და ნინოწმინდის სატყეოებშია. ამ სატყეო უბნებში მხოლოდ ფიჭვის კორომებია წარმოდგენილი. ფიჭვის მერქნის საერთო მარაგი შესაბამისად ახალქალაქში 404 ათ. მ3-ია, ნინოწმინდაში ყველაზე ცოტა 54 ათ. მ3.